შინაური საქმეები.

ᲥᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 13.

ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 5 ᲛᲐᲜ
ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲚᲔᲕᲐᲛᲓᲔ
1 Მ. 70 Კ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ 27 ᲔᲜᲙᲔᲜᲘᲡᲗᲕᲔ 1915 Წ.

სად არის შებრალება?

როგორც ვიცით, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელს წელს ბევრი მთხოვნელი მოაწყდა. აიხსნება ეს ერთი მხრით უფასო სწავლით და მეორე მხრით წრეევანდელ—შარშანდელი მოუსავლობით და გაჭირვებით. სხვათა შორის დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა ამ ამ საგზე განათლების მინისტრის ცირკულიარს, რომლითაც სემენარიის მეოთხე კლასი უთანასწორდება გემნაზიის მერვე კლასს უნივერსიტეტში შესასვლელი უფლებით. ასეა, თუ ისე, მთხოვნელები ოთხჯერ მეტი იყვნენ, ვიდრე ადგილი მოიპოებოდა და ამიტომ აუარებელი ნაწილი მთხოვნელებისა დაუკმაყოფილებელი დარჩა. მშობლებმა სასწავლებლის მმართველობას მიმართეს და სთხოვეს გაეხსნათ დაბალი მოსამზადებელი კლასის პარალელური განყოფილება მათივე (მშობლების) ხარჯით, მაგრამ ცივი უარი მიიღეს. ასეთივე უარით გამოისტუმრა იგინი მისმა მეუფებამ ეპ. გიორგიმაც. მშობლებმა იმედი არ დაჰკარგეს და საგანგებოთ კაცი გაგზავნეს ექსარხოსთან საშუამდგომლოთ. რიგორც შუამავალი იუწყებოდა გაზ. „სამშობლოს“ ფურცლებზე, ექსარხოსმა ნება დართო გაეხსნათ სასურველი განყოფილება. ერთ ხანზე იმედიც იყო, რომ გაიხსნებოდა, რის შესახებ მოწოდებაც გამოუშვა შუამავალმა მშობლებისადმი, რომ შვილები ჩამოეყვანათ. ეხლა, როგორც ირკვევა, საქმე აგრე ადვილი მოსაგვარებელიც არ ყოფილა. ექსარხოსის განკარგულებას, თუ სურვილს, ძალიან გულგრილად შეხვედრია ადგილობრივი მთავრობა. სასწავლებლის ზედამხედველს ისეთი მოთხოვნილება წარუდგენია მშობლებისათვის და იმოდენა ს

გიური პრინციპების მიხედვით. თუ ძველები ამბობდენ: დაილაპარაკე რომ გიცნო, ვინ ხარო, ეს იმას კი არ ნიშნავს რაღაც უაზროდ წაიბუტბუტეო, არამედ იმას, თუ გაამჟღავნე შენი ცხოვრების პრინციპები და მაშინ გიცნობ როგორ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნიო. ეს კრიტერიუმი ადამიანის მიმართულების შემოწმებისა, დღესაც ძალაში რჩება. ადამიანი იმას იძახის, რაც სულში და გულში აქვს გაბჭნილი, რასაც მას უკარნახებს მისი მსოფლმხედველობა, განსაკუთრებით რელიგიური, ე. ი., მოკლეთ რომ ვსთქვათ „კოკასაშიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“, როგორც მკაფიოდ გამოსთქვამს **შოთა რუსთაველი.**

მახმადიანის მსოფლმხედველობა ასეთია: არის ერთი ღმერთი--ალლახი ⸗ წინასწარმეტყველი მისი მახმადი და წარმომადგენელი მათი ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მეორე ალლახი და მახმადი-პადიშახი--ქვეყნიური ღმერთი. მახმადიანების გარეშე არსებობენ მხოლოდ გიაურები, რომლებიც ღირსი არ არიან კაცად წოდებისა. ამ პრინციპის ძალით ხელმძღვანელობს და მოქმედობს მახმადიანი ქართველიც. და ამიტომ გასაკვირალი არ არის ასლანბეგზე ზემოხსენებული თქმულება.*) აშკარაა, რომ ასეთი პრინციპის მატარებელ საზოგადოებას არ შეუძლია ვისმეს შეუერთდეს, ვინმე იძმოს და იმეგობროს, გარეშე თავის ერთმორწმუნე ხალხისა.

თქმა არ უნდა, აჭარაში არიან საქართველოს მეგობარნი და მოყვარულნი, მაგრამ ისინი არც არიან ოსმალურად მოაზროვნენი, და არც ქრისტიანულ სარწმუნოებას გაექცევიან, რომ ცხოვრების პირობები ხელს უწყობდენ. ასეთი პირების იდეალი ის არის, რომ თავისი შვილები ნახონ ქართველებთან ყოველი მხრივ შედუღ-შესისხლ-ხორცებული, მაგრამ ვიმეორებთ ასეთი პირები ძრიელ ცოტა უნდა იყვნენ ჯერ მაინც.

სწორეთ ერთ ასეთ პირს გვიხატავს ბ. „მნახველი“ „სახ. ფურცლის“ 373 ნუმერში, რომელზედაც შენიშვნაში ამბობს: „**ეს გახლდათ იშვიათი ადამიანი (ჩვენ ვიტყვით, მახმადიანი ქართველი) უ. ალაზაქრიძე.**“

*) იხ. „შინ. საქ.“ №12

დიალ ასეთი ალა-ზაქრიძეები ძრიელ იშვიათი შემთხვევაა აჭარაში; უმეტესი ნაწილი და ჩვეულებრივი მოვლენა კი ალა-გორგოძისა და ასლანბეგის ტიპის ადამიანები გახლავან, რომლებიც არათუ სარწმუნოებას, ქართულ [illegible]ლასაც არ იკარებენ, ქართულ [illegible]ენასაც გაურბიან და გაურბიან იმიტომ, რომ ყველაფერს სარწმუნოების თვალსაზრისით ზომავენ: ენასაც, ეროვნებასაც და სწავლა-განათლებასაც. რომ აჭარელი ქართველობა ისეთივე რელიგიური ინდეთერფენტიზმით იყოს გაჟღენთილი, როგორც ჩვენი ქართველი ინტელიგენცია, თქმა არ უნდა, ჩვენი ურთიერთშორის დაკავშირება ადვილია, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ მახმადიანი ქართველებისათვის ისლამი ყველაფერია, ყურანი ცხოვრების საფუძველია და, ქვაკუთხედიც, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანებისათვის ქრისტე და სახარება. ხოლო ყურანი და ისლამი არ თმენულობს თავის გვერდში სხვა სარწმუნოების აღმსარებელს.

ამის ცხად მაგალითს წარმოგვიდგენს გამახმადიანებული საინგილო, რომელმაც ენაც კი სრულიად დაივიწყა და ლეკურ-ადერბეიჯანის ენაზე გადავიდა. გაზ. „Кав. слово-ს“ კორესპონდენტი ბ. „ნარი“ შენიშნავს, რომ ენის მოსპობა საინგილოს გაქრისტიანების ცდამ გამოიწვია მე 60 წლებშიო, როცა სოფლებმა განაჩენებიც კი გამოიტანეს არც ქართულად ვილაპარაკოთ და ცოლებიც დაღესტნიდან მოვიყვანოთო. ჩვენ ეჰვი არა გვაქვს,- რომ ასეთი მისწრაფება საინგილოში ადრეც იქნებოდა რელიგიური მოსაზრების ზეგავლენით და თუ მესამოცე წლებში პროცესი სრული მახმადიანობისა ჩქარის ნაბიჯით გაეშურა წინ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ რელიგიური მოტივი ეროვნების მთლიანობაში უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე სხვა მოტივები, მაგ. სისხლით ნათესაობა, ენა, ზნე ჩვეულება და სხვა.

ერთი შეხედვით გასაკვირვალია სპარსეთის მახმადიან ქერთველების განვითარებული ეროვნული გრძნობანი. როგორც გადმოგვცემენ, მათ შენახული აქვთ ქართული ენა, ზნე-ჩვეულება და სხ. და არავითარი ერთობა არ

აქვთ ბუნებით სპარსელებთან, არაფერი არ აერთებსთ მათთან, გარდა ისლამისა. ეს პირველი შეხედულებით გასაკვირვალი მოვლენა ჩვენი აზრით იმის ბრალია, რომ სპარსეთის ქართველებს ბევრი ქრისტინული ზნე და ჩვეულებები შეუნარჩუნებიათ, ასე რომ არც კი ითქმის მათი სრული მახმადიანობა. და რომ გარემოება ხელს უწყობდეს, სპარსეთის ქართველები სრულებითაც არ დაიწყებენ ჯიუტობას სარწმუნოების გამოცვლაში, რადგან კარგათ აქვსთ შეთვისებული, რომ მათი დედა სარწმუნოება ქრისტიანობა იყო.

რომ სარწმუნოება უძლიერესი კავშირია ეროვნების მთლიანობის საქმეში ამას ცხადზე უცხადესათ საქართველოს ებრაელობაზე ვხედავთ. ეს ხალხი უხსოვარის დროიდგან საქართველოში სცხოვრობს, ქართულად ლაპარაკობს, მაგრამ მისი ქართველებთან ეროვნულად შეკავშირება ისტორიამ ვერ მოახერხა. ებრაელი ებრაელად რჩება ყველგან, სადაც კი სცხოვრობს და რჩება თავის რელიგიურ პრინციპების გამო. საკმარისია, ჩვენებურმა ებრაელმა ქრისტიანობა მიიღოს, მიიღოს გულით, რომ ერთბაშათ შეადუღდეს ქართველ ეროვნებას. ასეთი მაგალითები ბევრია ჩვენს ისტორიაში. მთელ გვარეულობას უჩვენებენ, რომლებიც ჩამომავლობით ებრაელნი არიან, მაგრამ დღეს ვერავინ იტყვის, რომ იგინი ქართველები არ იყვნენ.

ასეთი ძალა აქვს სარწმუნოებას ეროვნების ერთიანობაში და, მიკვირს, რათ ვიხვევთ თვალს, რათ ვფიქრობთ, რომ მახმადიან ქართველების შემოკავშირება შესაძლებელია გარეშე სარწმუნოებისა და თუ ასეა რათ გვეშინია, რომ ჰეშმარიტებას პირდაპირ შევხედოთ.

მახმადიანობა კი არა, სომეხ-გრიგორიანობა ხომ იგივე ქრისტიანობაა და რამდენი ქართველი ოჯახი მოგვტაცა, რომლებიც დღეს სრულ სომხებად აღიარებენ თავს და არც კი უნდათ დაიჯერონ, რომ იგინი ტომით ქართველები არიან. ბ. ზ. ჭიჭინაძე ბევრ ასეთ გვარეულობას გვისახელებს, **„რომლებიც დღეს ენითაც სომხობენ და ტომითაც“** (ბაზი ჩვენია) ასეთები არიან: გორგაძიანცები, გოგიანცები, ზურაბიანცები, ალიხანოვები, ლოლაძეები, მოსესიანცები, წერეთლები და სხ. ამათ სხვა-და-სხვა დროს მიუღიათ სომეხ-გრიგორიანობა და ისიც სრულიად შემთხვევით, მტრის შიშის გამო, და დღეს არც-კი უნდათ გაიგონონ, რომ იგინი ღვიძლი ქართველები არიან.

ვისაც ჩვენთან ერთობა უნდა ის ჩვენ პრინციპებს უნდა იზიარებდეს, თუ ასე არ მოხდა შეერთება არ იქნება სრული. არა ვამბობ, რომ ხორცით და სისხლით ერთნი ვიყვეთ, საჭიროა სულიც ერთი გვქონდეს, ერთ მიზანს ვემსახურებოდეთ, ერთი რწმენა, ერთი რელიგია გვაერთებდეს. თუ ქართველი მახმადიანები ამ ჰეშმარიტებას ორთავ თვალით უყურებენ, ჩვენ რისა გვეშინია, როცა მათზე რიცხვითაც მეტნი ვართ, სწავლა-განათლებითაც და კულტურითაც. რათ მიგვაჩნია სირცხვილად სარწმუნოებაზე ლაპარაკი, ისეთ სარწმუნოებაზე, რომელიც ყოველგვარ ძალდატანებას ერიდება და მხოლოდ ადამიანის ნებაყოფლობაზე და კეთილ-გონიერებაზე მოქმედობს. სხვა საქმეა ისლამი, რომელიც თავის გასავრცელებლად ცეცხლსა და მახვილსაც კი არ ერიდება. ჩვენი აზრით საქმე სწორეთ სარწმუნოებიდან უნდა დავიწყოთ. უნდა მოვაგონოთ ჩვენ თანამემამულეს, რომ იგინი ქრისტიანები იყვნენ, რომ მათგან გამოვიდნენ ისეთი სასულიერო და საერო მნათობები, როგორიც იყვნენ გრიგოლ ხანძთელი, შოთა რუსთაველი და სხ. და სხ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, მომხრე არა ვართ ოფიციალური მისსიონერებისა და არც გვსურს ასეთი მქადაგებლები გავიდენ მახმადიან ქართველებში. რელიგიური ქადაგება უნდა მოხდეს თავისუფალ აზრთა გაცვლაგამოცვლით და წიგნებ წიგნაკების ზეგავლენით. თქმა არ უნდა, ქართველ მახმადიანებს ნება ექნებათ თავის სარწმუნოება დაიცვან და კიდეც პირაქეთ შემოგვთავაზონ იმავე საშუალებით. თუ გულ-წრფელია ჩვენი სურვილი ერთმანეთის გაცნობისა და გაერთიანებისა, არც უნდა გვრცხვენოდეს, რომ ერთმანეთი ყოველი მხრით გავიცნოთ და საუნჯობესო ნიადაგზე შეეერთდეთ. თუ არა და ჩვენი გაერთიანება

არ მოხდება და თუ მოხდა სრული და ხანგრძლივი არ იქნება.

ერთი საუკეთესო საშუალებათაგანი ერთმანეთთან დაახლოებისა, ისიც იქნება, თუ ჩვენ აჭარელ ყმაწვილებს წამოვიყვანთ ყოველ წლობით არა ნაკლებ 2—3-სა და აღვზრდით მათ ჩვენ ზნე-ჩვეულებაში და შემდეგ გაუშვებთ თავის სამშობლოში საქმედოთ. ამისთვის არც თვით აჭარლები გვერიდებიან. ამასწინათ მის მეუფებას, ლეონიდ ეპისკოპოსს, აჭარელი ქართველი მოლა სწვევია და უთხოვნია რამდენიმე აჭარელი ბავში წაიყვანეთ და აღზარდეთო. მის მეუფებასაც ქუთაისის ქართული გემნაზიის გამგეობისთვის გაუგებნებია, რომელსაც ორი ბავში მიუღია თავის ხარჯზე.

რადგან ასეთი მოძრაობა უკვე დაიწყო, ურიგო არ იქნება, რომ შესდგებოდეს საზოგადოება მახმადიან ქართველთა ყრმების (განურჩევლად სქესისა) აღზრდისა. ჩვენი ეროვნული შკოლებიც არ დაიხევენ ამ საქმეში უკან და ადგილს მისცემენ ასეთ შაგირდებს. ხსენებულმა საზოგადოებამ, რომ შესძლოს წელიწადში 3—4 ათასი მანეთის გაღება 5-ს ბავშს მაინც გამოზრდის ყოველ ათ წელიწადში და ეს ქართულ ზნეჩვეულებაში აღზრდილი ბავშვებიები უფრო მეტს გაკეთებენ ჩვენი შეერთებისათვის, ვიდრე მთელი ჩვენი ეხლანდელი განგაში და რაღაც უმნიშვნელო გროშების რაჩხარუჩხი, რომელიც ვერავის ვერ აგრძნობინებს ეროვნულ ერთობას და ვერ გადმოაყრევინებს სისნანულის ცრემლებს ასი წლის დაშორებისათვის.

ᲣᲙᲘᲓᲣᲠᲔᲡᲘ.

გაცრუებული იმედები.

(ვუძღვნი Ო-რე მწერს)

სადა ხარ, ჩემო ძმობილო!
რათ არ მიდგიხარ მხარშია,

—

რათ არა მშველი ბეჩავსა,
ამ მწარე გასაჭირშია?!
ოხრდა ზიარი ყანა,
მოჭამა ქვეყნის ღორებმა,
სახლში წიწილა გამიწყდა, —
კრუხნი წამართვა ქორებმა....

—

გამიწყდა მარტოს ილაჯი,
ვერ ვხედავ გვერდში მშველელსა;
ვერც ხბოს ვინახავ, ვერც ძროხას,
ვერც ფურსა უხვად მწველელსა.

—

დამიქრა კერა მგზნებარე,
გაცივდა სახლი ეული,
ქურდმა, ბაცაცმა წალეკა
მოვლა-შენახვას ჩვეული.

—

შენ არ იყავი, ძმობილო,
რომ მპირდებოდი შველასა,
გავიზრდებიო მითხრობდი
და პასუხს გავსცემ ყველასა?

—

ეხლა ხომ დიდი ბიჭი ხარ,
მკლავიც მაგარი გაგიხდა,
ძალ-ღონეც შეგწევს, გონებაც,
გულის წადილიც აგიხდა.

—

მაშ რაღას ყოვნი, ძამიავ,
რათ არ მიდგები მხარშია,
რათ არა მშველი ბეჩავსა
ამ მწარე გასაჭირშია?

ᲮᲔᲚᲘ.

თეატრი სოფელში.

(დასასრული)

თუგინდ რო ათასნაირი მოდური სახელი გვიწოდონ, უნდა საქვეყნოთ აღვიაროთ, რომ ჩვენ არა ვართ მომხრე საზოგადოთ თეატრისა და წინააღმდეგი ვართ განსაკუთრებით სოფლის თეატრისა, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით არაფერს სიკეთეს შეიტანს ხალხში, გარდა ზნეობრივი გათახსირებისა და გემოვნების გარყვნისა ხელოვნურ შემოქმედების დაფასებაში. და ეს იქნება შედეგი იმისა, რომ 1) თეატრი სრულებით არ არის ზნეობის მასწავლებელი, 2) თეატრში მოსიარულე ხალხი თვით უნდა იყოს სალი ზნეობრივი პრინციპების მატარებელი და 3) სოფლის თეატრი ვერასოდეს ვერ იშოვნის ნამდვილ ხელოვანს. რომ სცენა ზნე-

ოპის მასწავლებელი არ არის ეს ყველისათვის თვალსაჩინო უნდა იყოს. სცენაზე ერთნაირი ენერგიით მოქმედებს როგორც სიკეთე, ისე ბოროტება, თუ გნებავთ, ბოროტებას, ადამიანის ბუნების ცუდ, მდაბიო მხარეებს უფრო დიდი ადგილი უჭერია სცენაზე, ვიდრე კეთილ, ნამდვილ ადამიანურ მხარეებს, ე. ი. სცენაზე ისეთ მხარეებს უჩვენებენ ადამიანის ბუნებისას, რომლებიც უნჯობესი იქნებოდა დაგვემალა მათგან მაინც, ვინც მათი თანაზიარი არ არის. პედაგოგიური მოსაზრება, რომ ბავშმა შეცდომა ვერც თვალით უნდა დაინახოს და ვერც ყურით უნდა გაიგონოს, აქაც ძალაში რჩება. სცენაზე კი აღსაზრდელ ხალხს თვალ წინ ეხატება ბოროტება მთელი თავის სიშიშვლით, დაუფარავად, მას ესმის მისი ხმა, გრძნობს მის შეხებას, განიცდის მის სიტკბოებას. ტარიელ მკლავაძე ერთგვარი ბოროტების განსახიერებაა, მას უნდა, მას სწყურია შეურაცყოს საბრალო სოფლის მასწავლებელი, მას ხიბლავს სიტკბოება თავის ბოროტ სურვილის ასრულებისა. გმირის ასეთი მოჭიმული მდგომარეობა იტაცებს უპრინციპო მაყურებლებს, იგინი თითქოს თითონ სდგებიან გმირის მდგომარეობაში, თითონ განიცდიან მის ზნეობრივ დაკმაყოფილების სურვილს და აი როცა ტარიელი მიზანს ახწევს და შეურაცხებას აყენებს მასწავლებლის ცოლს, ბრბო გრიალებს, ტაშს უკრავს, ვაშას შესძახის, ვითომ თითონ მოეკლას საკუთარი ქინი, თითონ ეგემოს ტარიელის კმაყოფილება.

ბ. ჩხიკვაძე სტირის და გოდებს ამის შესახებ და თავისებურ რეცეპტს უწერს თეატრის ხელმძღვანელებს. იგი ურჩევს მათ წინდაწინვე გააცნონ ხალხს პიესის შინაარსი. მაგრამ ჩვენი აზრით ეს საკმარისი არ იქნება, რომ უპრინციპო მაყურებლებმა თავის დროზე ვაშა დაიძახონ. საჭიროა სცენაზე ერთი მოკარნახე დაიყენონ, რომელიც თავთავის დროზე უკარნახებდეს ხალხს აქ გაიცინეთ, აქ იტირეთ, აქ ვაშა დაიძახეთ, აქ ტაში დაუკარით და სხვა... უამისოთ, ვერ შეაგნებინებთ ზნეობის პრინციპებს მოკლებული ხალხს სათეატრო ეთიკას. ძრიელ დახელოვნებული მსახიობია საჭირო, რომ ხალხს აგრძნობინოს ნამეილი ზნეობრივი სისაძაგლე და აატიროს, ააძგეროს მისი გული სიკეთისადმი, მაგრამ სად უნდა ვიპოვოთ ასეთი იშვიათი მსახიობი სოფლის თეატრისათვის.? ხელოვანი მსახიობი ჩვენში, არა თუ სოფელში, ქალაქშიდაც არ მოიპოვება, ეგზარალო კლოუნი კი ბევრია, მაგრამ, რა შეუძლია მათ, გარდა გემოვნების გაფუჭებისა ხელოვნების დაფასებაში. ამიტომ გლახა თეატრს, სულ არ ქონა სჯობია და ჩვენ გულწრფელად ურჩევთ საგარეჯოს საზოგადოებას თავის თეატრის შენობა სხვა რაიმე სასარგებლო დაწესებულებათ გადააქციოს, საიდგანაც ხალხი უფრო მეტ სულიერ და ნივთიერ სარგებლობას გამოიტანს.

ამბობენ კიდევ თეატრი სარკეა ცხოვრებისაო. ჩვენ თანხმანი ვართ თეატრის ასეთი მნიშვნელობისა, მაგრამ სარკეს ერთი რამ ზნე სჭირს. რაც უფრო მეტს ჩასჩერებიხარ, მით უფრო მეტ ღირსებას ჰპოებ შენს სახეში, თუ გინდ ქვეყნის თვალში მახინჯიც იყო. ამნაირათ ეჩვევი და იყვარებ შენს სიმახინჯეს და აზრათაც არ მოგდის თავის გაუმჯობესობა. კრილოვის მაიმუნს რო ათასჯერ და ათიათასჯერ ჩაეხედნა სარკეში, ისე შეეჩვევოდა თავის სიმახინჯეს, რომ აღარ მიიღებდა შრომას თავის ნათლიმამების თითებზე ჩამოთვლისას. ეს რამოდენიმე ასი წელიწადი იქნება კაცობრიობა ევროპიული თეატრის ფართო სარკეში ჩაიყურება, ხედავს თავის სიმახინჯეს და მიუხედავად ამისა ისევ მახინჯი რჩება.

იგი შეეჩვია თავის სიმახინჯეს იმდენათ, რომ ველარც კი ამჩნევს მას და, არა თუ ვერ ამჩნევს, არამედ სიკეთეთაც მიაჩნია. და ასეთი თილისმა სარკე ჩვენ მოჭირნახულე ვაუბატონებს სოფლადაც უნდათ გაიტანონ. სასაცილოა, რომ სამწუხარო არ იყოს: ჯერ ხალხს ანა-ბანა არ უსწავლია, მარჯვენას მარცხენისაგან ვერ არჩევს და თეატრებს უშენებენ. ყვავს რომ თვალი არ ება და წამწამებს თხოვდა ღმერთს, სწორეთ ისე გვემართება.

უკიდურესი.

კვირიდან-კვირამდე.

რედ. მღვდ. ს. მჭედლიძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა მის მეუფებას საქართველოს ეკსარხოსს პიტირიმს შესახებ ქართულ სასულიერო გამოცემის საჭიროებისა. მისმა მეუფებამ თანაგრძნობით მიიღო მოხსენება და აღუთქვა დახმარება.

——

წელს სამღვდელოების დამატებით ჯამაგირად როგორც გადმოგვცეს, გამოსულა საექსარხოსოზე 30,000 მ. რომელთაგან იმერეთის ეპარხიისთვის გადადებულ იქმნა 10,000 მან.

——

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ მოწამეთას უბრუნდება ყოფილი წინამძღვარი არხიმანდრიტი ნესტორი. ახლანდელი წინამძღვარი არხიმანდრიტი დოსითეოზი შუამთის მონასტერში გადუყვანიათ იმავ ადგილზე.

——

თბილისიდან 18 სეპტემბერს გაიცილეს ყოფილი მეფის მოადგილე კავკასიაში გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი. გაცილების დღესასწაულობაში მხურვალე მონაწილეობას უფრო სომხები ღებულობდენ.

——

სასულიერო საბჭო. მის მეუფებას მ. ყ. უ. პიტირიმს თავის ეპარ'ია'ში დაუწესებია სასულიერო საბჭო, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობს ოთხი მღვდელი და ერთი ეპისკოპოზი, დღეს ყ. ს. ანტონი. ამ საბჭოს მოვალეობა, მღვდლების და მედავითნეების განწესება და გადაყვან-გადმოყვანაა, რასაც ამტკიცებს თვით მისი მ. ყ. უსამღვდელოესობა. ურიგო არ იქნება ჩვენშიდაც დაარსდეს ასეთი საბჭო. ეპისკოპოსს უამისოთაც ბევრი საქმე აქვს უფრო საყურადღებო; მისი მ. ყ. უსამღვდელოესობის მოტივიც ეს ყოფილა, როცა განუძრახავს ხსენებული საბჭოს დაარსება.

——

მისი უდიდებულესობის მოადგილე კავკასიაში მათი_იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თბილისს 23 ენკენისთვეს ჩამობრძანდა.

გალობის საქმე ქუთაისის სობოროში.

„მოთმინებითა შენითა, მოიპოვო სული შენიო“, ნათქვამია და აფერუმ ქუთაისის მართლმადიდებელ საზოგადოების მოთმინებას! რამდენი ხანია ქუთაისის სობოროში დაიკარგა გალობა და საზოგადოება ითმენს დაუსრულებლად. ჯერ იყო და ბ. კუჭაიძის ხორომ ამოგვართვა სული, შემდეგ ვასილიევის ხორომ შეგვიღონა გული, ამ ბოლო დროს ხანთაძის ხორომ წაიღო ყურთა სმენა. ეხლა სულ დადუმდა, სულ აღარ ისმის გალობა, თითქო საჭიროც არ იყოს. ერთი მხრით არც დასაძრახისია, რადგან გლახის ყოლას არ ყოლა სჯობია, მაგრამ რა გასამართლებელი საბუთი აქვსთ სობოროს პატრონებს, როცა შესაძლებელიც არის და მოსახერხებელიც კარგი ხოროს შედგენა.

როგორც ვიცით 1600 მანათია დადებული მგალობელთა გუნდისთვის. ამ თანხას რომ კიდევ ცოტა რამ დაემატოს და ორი ათას მანეთად შესრულდეს, ისეთი გუნდი შეიძლება შესდგეს მცოდნე და გამოცდილი ლოტბარის მეთაურობით, რომლისაც არ შერცხვება ადამიანს, რომელიც ქართულადაც შეიძლებს გალობას და სლავიანურადაც საჭიროების დროს. ამ თანხის შედგენა არ არის ძნელი თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სობოროს 17 ათასიანი თანხა უდევს ხაზინაში, რომელიც წელიწადში 500—600 მანეთს სარგებელს იძლევა.

მაგრამ, რთგორც ვხედავთ, არც საკუთარი 1600 მან. იხარჯება დანიშნულებისამებრ და ამიტომ გალობაც დაიკარგა სობოროდან. ამბობენ, მგალობელთა გუნდი ამ ერთი წლობით სულ არ იქნება სობოროში, რადგან ზემოხსენებული 1600 მანეთი საჭაროა სამღვდელო და საეპისკოპოზო შესამოსლებისათვისო. რა თქმა უნდა, ესეც კაი საქმეა, მაგრამ ამისთვის სხვა წყარო უნდა მოიძებნოს, ხოლო გალობას თავისი-საშუალება არ უნდა მოეშა-

ლოს, რადგან გადობა წირვის ნაწილია და
ბოუკეთესო ნაწილიც.

რამდენი საყვედური, რამდენი სამდურავი
და ყრუ უკმაყოფილება ისმის საზოგადოებაში
ამ საგნის თაობაზე, მაგრამ ვის ესმის? საქმე
ისეთ მსგ ლელობას ღებულობს დღეს, თით-
ქო სობოლო და საზოგადოდ ეკლესიები სამ-
ოვდელოებას გაუთვნოდეს და არა ხალხს,
რომელსაც ნება აქვს თავის მოთხოვნილება
ანაცხადოს მის შესახებ მართლმადიდებელ
სარწმუნოების ფარგალში. ეკლესიაც ხალხი-
თვის არის და წირვალოცვაც მისთვის სრუ-
ლდება, ჩვენი შეხედულობით, და ნუ თუ მის
ხმას არ უნდა მიექცეს ყურადღება? თუ არ-
მიექცევა და ხალხი ეკლესიას სრულებით მია-
ტოვებს და მწყემსი სამწყსოს გარეშე დარჩება.
ასეთ ნიშნებს, ხუბედუროთ, დღესაც ვხედავთ.

ძველი მეგობარი.

მეფის მოადგილის ჩამობრძანება თბილისში.

მეფის მოადგილე მისი ი. უმაღლესობა
ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე 23 ამა თვეს ჩამობ-
რძანდა თბილისში. ვოგზალზე და სასახლეში
სიტყვებით მიეგებენ სხვა და სხვა დაწესებულე-
ბების წარმომადგენლები. მოგვყავს სიტყვები მი-
ნ მეუფების ექსარხოსის პიტირიმის და ქუთა-
ისის თავადაზნაურთა წინამძღოლის თ. დ. ო.
ნიუარაძისა.

სიტყვა საქართველოს ექსარხოსის პიტირიმისა.

საქართველოს ექსარხოსმა შემდეგი სიტ
ყვით მიმართა დიდ მთავარს:

„თქვენო იმპერატორებითი უმაღლესობავ!
როდესაც უმაგალითო მძიმე განცდის წელს
რუსეთის მიწა-წყალი მპყრობელის სურვილის
თანახმათ, თქვენმა იმპერატორებით უმაღლე-
სობამ თავს იდეთ ხელი უმაღლეს წინამ-
ძღოლობისა, ძვირფასი სამშობლოს შეიარაღე-
ულ ძალთა და კურთხეულ მთავარ სარდლობით
ანგვალეთ მხედრობა რუსეთისა სახელოვან გამა-
ჯვებისადმი, დიდი ხელმწიფის სახელის დასა-
ვეთ, და საყვარელ სამშობლოს სადიდებლათ
ჯვარმტირთველ საქართველოს ყველა შვილთა
ელი თანახმად სძგერდა ერთი ძლიერი გრძნო-
ბა, რომ მალე წასულიყვენ ბრძოლის ველზედ
ბოლოვაწეოდ.

და რა ბედნიერი იყო შემდეგ გმირი საქართვე-
ლო იმ შეგნებით, რომ მის მამაც შვილებსაც,
იქ. შორეულ დასავლეთში, კვლავ შეძლება ეძ-
ლეოდად საქმით დამტკიცებინათ თავისი უსამ-
ზღვრო სიყვარული კეთილ მოთწმუნე ხელმ-
წიფისადმი, და თავისი სამარადისო სიყვარული
საერთო სამშობლოსადმი, ერთ მორწმუნე რუ-
სეთისადმი. ომ გადახდილი მინდვრები დასავ-
ლეთისა და კარპატის მთები, მოწმენი არიან
იმისა, რომ საქართველოს შვილებს არ შეურ-
ცხვენიათ მამაპაპური ანდერძი ვაჟკაცობისა. ეხ-
ლა კი, როდესაც ღვთივ მირონცხებულმა თვით
იკისრა უმაღლესი წინამძღოლობა მტერზე ამ-
ხედრებულ თავის ხალხისა და თქვენ კი მოგვ-
წოდათ დიდ სამუშაოსადმი ღვთისმშობლის
წილხდომილ ქვეყანაში, ეხლა მონარხის ასეთ
ახალ და მაღალ განსაკუთრებულ ყურადღებით
გაბედნიერებულია ერთგული მეფისა მთელი
ჰაღარა კავკასია, განურჩევლათ ენისა და ეროვ-
ნების. სიხარული კი გაბედნიერებული საქარ-
თველოსი გადაიქცა უსაზღვრო ლხენად ქალა-
ქებშიც და თოვლიან მწვერვალებზე და მთის
ხეობებშიც. დე, კურთხეულ იყოს ბედნიერი
გული ივერიის კეთილ შვილთა — ამისი ბედი ეხ-
ლა აბარია სამეფო ოჯახის სახელოვან მოდ-
გმის წევრს.

თქვენო იმპერატ. უმაღლესობავ! ჩვენი სარწმუ-
ნოების დიდ განცდის დღეებში შემოსდგითთქვენ
ფეხი ღვთისმშობლის წილხვთომილში. მაგრამ
როგორც ამ წმინდა ტაძრის ასწლოვან თაღე-
ბის ქვეშ ლოცულობდა ჯვაროსანი საქართვე-
ლო ჟამსა მძიმე ნგრევისა საკუთარ ბედისა
და ლოცვით მიულია გამარჯვების ძალა, ეგრე-
თვე გვწამს, რომ ღვთისმშობელი მიანიჭებს ეხ-
ლაც სრულ გამარჯვებას მტრებზე თვის ერთ-
გულ მონას, კეთილმორწმუნე თვითმპყრობელს
ჩვენსას და მამაც მოკავშირეებს ჩვენსას. იგივე
უშველის თქვენს იმპერატორებით უმაღლე-
სობას მის ქვეყნიურ წილხვდომილისთვის მა-
ღალ სამსახურში.

სიონით აკურთხოს დმერთმა შემოსვლა თქვენი

სიტყვა ქუთაისის გუბერნიის თავ.—აზნ. წინამძღოლის თავ. დ. ო. ნიუარაძისა

თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ!
ადგილად გასაგებ მღელვარებით მოელოდა
მთელი ეს დღეები ქართველი თავად-აზნაურო-

ბა ქუთაისის გუბერნიისა თქვენი იმპერათორობითი უმაღლესობის ჩამობრძანებას საქართველოს ძველს დედა—ქალაქში. გასაგებია ალტაცებათ ეგებება თქვენს მობრძანებას მთელი ქართველი ხალხი, რომელიც ხედავს ამაში ნიშანს მონარქის კეთილმნებელობისას ამ ქვეყნისადმი და თქვენი პირადი განწყობილებისას მის მცხოვრებლებისადმი. ვიდრე ჩვენი სამშობლოს ცა დასერილია შავის ღრუბლით, ქართველი ხალხის მთელი ზრახვანი მამართულია მტერთან ბრძოლაზე. ამ ბრძოლის გულისთვის ჩვენი სამშობლოს შვილები თავდადებულად ღვრიან სისხლს ბძოლის ველზე მხარ და მხარ ერთ მორწმუნე ძმებთან. ამ ბრძოლის გულისთვის, რომელიც ძალთა გამრავლებას მოითხოვს, დროებით დაიჩრდილენ ყველა მწვავე კითხვები, რომლებიც გადაბმულია ივერიის ეკლესიის მოწყობასთან, სკოლასთან, თვითმართველობის და სამშობლო ტერიტორიის შენარჩუნებასთან. ჩვენ ვითმენთ ყველა სიმძიმეს თანამედროვე ხანისას, რომელიც გამოწვეულია არა მარტო ომის ამბებით, არამედ სტიქიურ უბედურებისაგან, რომელმაც მთელი ქვეყანა სიმშილსა და უმწეობაში, ჩააგდო.

მაგრამ მალე გაისმება ხმები გამარჯვებულის და მოდღესასწალე სიმღერისა, გადივლიან ქარიშხალი და უბედურებანი და კეთილი მზე გაათბობს რუსეთის ქვეყანას და მასთან ერთად მრავალ ტანჯულ ჯვართმტვირთველ საქართველოს.

თქვენო იმპერატორობითი უმაღლესობავ! ყოველი ქართველის სულში სკოკლობს უღრეკი რწმენა, რომ რაკი თქვენი იმპერატორებითი უმაღლესობა გაიცნობს სურვილებს და ლტოლვას ქართველის ხალხისას, კეთილ ინებებთ და აირჩევთ იმ გზას საშინაო პოლიტიკისას, რომელიც შეეფერება სავსებით სახელმწიფო ინტერესებს და ქართველ ხალხსაც დააკმაყოფილებს.

აღრფთოვანებული იმედებით, რომ თქვენი მართვა ქვეყნისა საქართველოს მწუხარე ისტორიაში ახალ სიოს შეიტანს დამშვიდებისას და დაკმაყოფილებისას მის ეროვნულ მისწრაფებაში, დასავლეთ საქართველოს თავდაბნალურობა თავს უკრავს თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობას და მთელის გულით ღაღადებს:

„შვიდობა მობრძანებასა შენს!..“

განცხადება.

გამოვიდა და ისყიდება კ. ოცხელის და ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში საღვთო სჯულის სახელმძღვანელო: **საღვთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა** შემოკლებული ლოცვანით, ღვთის მსახურებით და კატეხიზმოთი, შედგენილი მღვდლის ს. მჭედლიძის მიერ თანახმად უწ. სინოდის პროგრამისა ყოველგვარი დასაწყისი სახალხო სკოლებისათვის. ფასი ათი შაური. ვინც ათობით გამოიწერს მანეთზე ერთი აბაზი დაეთმობა.

სამსატვრო სახელოსნო ბ. ი. ყირიაკოვისა. ქ. ქუთაისში.

ღებულობს ყოველგვარ საეკლესიო სამუშევარს, ასრულებს დროზე, სუფთად საიმედოთ და სინდისიერათ. ფასები ღირსებაზე და ზომებზეა დამოკიდებული და **ყოველ შემთხვევაში ხელსაყრელია.** თუ ნამუშევარი მოწონებული არ იქნება საკანადო მთავრობისაგან უკანვე ღებულობს ან ასწორებს იმავ მთავრობის შენიშვნისამებრ.

მისამართი ქუთაისი თბილისის ქუჩა წმ. სანოლის დუქნის მახლობლად.

რედაქტორი. ს. მჭედლ ძე.

გამომც: **იოსებ ლეჟავა.**

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. ქუთაისი სტამბა „ძმობა“ ქარვასლის ქ., სახლი ჩარგოლისა.